№ 27
კვირა, 16 თებერვალი 1897 წ.

1877 – 1897

ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 27
კვირა, 16 თებერვალი 1897 წ.

რედაქციისა:
ნიკოლოზოს ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ №227

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ:

თვ.	მან.	კ.	თვ.	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთა, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი.

კვირას, 16 თებერვალს

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასისაგან საფაროვი-აბაშიძისა, აბაშიძის და გედევანოვის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

შერეულად ახალი პიესა:

I

მოგონილი ლეიდა

კომ. ფარს 3 მოქ. ტომასისა, თარგ. კ. შათირიშვილისა.

II

არც აქეთ არც იქით

ვოდ. 1 მოქ., ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარელისა, კუნდელი; ბ-ნნი: აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, თამაზოვი და სხვ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲩᲣᲥᲣᲚᲑᲠᲘᲒᲘᲐ.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ელ. ალექსი-მესხიშვილი

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

მკურნალი
მიხეილ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

დილით 11-დგან 1 საათამდე, საღამოთი 6-დგან 7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 29, სახლი პაპოვისა. (5—71—4)

ᲙᲘᲠᲘᲕᲚᲘᲐ ᲙᲘᲠᲛᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘᲐ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲗᲘᲗᲝᲑᲘᲗ:

ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახი რურგიო, ვენერიული (ფილისი).

Გ. Მ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ᲓᲕ. ᲥᲐᲯᲘ Ა. Ო. ᲓᲣᲜᲐᲔᲕᲐ-ᲠᲣᲓᲜᲔᲚᲘ 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

Ჩ. Ო. ᲑᲝᲑᲝᲮᲘᲜᲘᲫᲔ—ღილის 10—11 ს. ქალთა სენთა ავათმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

Ო. ᲤᲐ. ᲑᲠᲐᲒᲘᲜᲡᲙᲘᲐᲩᲘ. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

Ა. Მ. ᲨᲣᲒᲐᲜᲝᲕᲐ. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

Ა. Ბ. ᲙᲐᲠᲐᲨᲕᲘᲪᲘᲜᲘ. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

Ო. ᲤᲠᲝᲠᲩᲘᲜᲘᲩᲘ. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

Ა. Მ.ᲨᲣᲒᲐᲜᲝᲕᲐ. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკევობით.

Ბ. Ა. ᲜᲐᲒᲐᲡᲘᲐᲜᲘ. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რეცეპტების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი. (წ.)

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 20 თებერვალს,

ᲪᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

„ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲑᲘᲡ“

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. ბ. მ. ამირეჯიბი, კნ. კ. ფ. გურამიშვილი, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილი, ბ. ნ. შანშიევისა, ვ. დ. ველიჩკო, ი. გ. კარგარეთელი, ი. მ. მატკოვსკი, ი. თ. სარაჯიშვილი და თ. აკაკი წერეთელი.

დაიწყება საღამოს 8½ საათზედ. ბილეთები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა, სასახლის ქუჩაზედ) და კონცერტის დღეს კლუბის შეიცავთანაც. (4—3—1)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 15 თებერვალი

არა ერთხელ გულ-დახეთქებით გვიჩივლია, რომ ქალაქებ-გარედ მცხოვრებ მკვიდრთა, სახელდობრ, სოფლთას რიგიანი პატრონი და მოშვლელი არა ჰყავს. ვის არ გაუგონია სამართლიანი საჩივარი, რომ არც გზები გვაქვს, არც სამაო სკოლები, არც სამკურნალო, არც მკურნალი გვყავს, რომ კაცს გაუჭირდეს და მოიწვიოს. ეს კიდეც ცოტაა: გაუჭირდება რამ სოფლობას, ვთქვათ, ბური შემოაკლდა, შიმშილი ჩამოვარდა, ვთქვათ, ქირი გაჩნდა საქონლისა, თუნდ ადამიანისაც, ვთქვათ, წულები გვფუტავს, ცეცხლი გვწვავს და ამისთანა სხვა რამ უბედურება, მაგალითებრ, კალია, თავგი ხელიდამ გვართმევს წლის ნაშრომ-ნადგს—ყოველ ამისთანაში ულონონი ვართ თავს როგორმე ვუშველოთ.

ქალაქებს კიდეე ყოველ ამაებში პატრონი ჰყავთ და ეგ პატრონები თვითონ მკვიდრნი არიან, რადგანაც თვით-მართველობა აქვთ და ყოველს ამას მათივე კაცები უძღვებიან და ყოველს ამისთვის ჰხრუნავენ და მეცადინეობენ. შიდა-რუსეთშიაც მთავრობამ ამისთანა საქმეების გაძღოლი და მართვა თვით სოფლობასაც მინაბა და ეგ მძიმე ტვირთი შორიდამ მაგისთანა საქმეების გამგებლობისა და მართვისა თვით იახსნა და თვითონ ადგილობრივს მკვიდრს მიანდო, რადგანაც ადგილის მკვიდრმა უფრო ზედ-მიწევნით იცის თავისი ჭირ-ბოროტი და რადგანაც სატკივარი იცის, წამალსაც უფრო ადვილად მოიხერხებსო. ესეთი დაწყობილობა მთავრობის მიერ მით უფრო სამართლიანია, რომ სოფლობა იხდის ეგრედ წოდებულ „ზემსკი პოვინნოსტებს“, რომელთაც საგნად გაძღოლა აქვთ ყოველ იმ საჭიროებისა, რაც ზევით მოკლედ მოვიხსენიეთ.

ჩვენშიაც მაგისთანა ფული იკრიბება, მაგრამ როგორც წინანდელ რუსეთში, ისეც ეხლა ჩვენში სოფლობის საქმეებს, შორიდამ განაგებს მთავრობა, რომელიც რა-კი სხვა ათასი უფრო საჭირო საქმეები აქვს, [illegible] სოფლობისათვის იმოდენად, რამოდენადაც სასურველია და ფული ფულად მიდის და შესანიშნავს შეღავათს და შვებას-კი ვერა ვხედავთ. სოფლობას არც რიგიანი გზა აქვს მისვლა-მოსვლისათვის, არც სამკურნალო აქვს, არც მკურნალი ჰყავს, არც სკოლა აქვს, შიმშილია, პატრონი არა ჰყავს, განსაცდელია რამ საერთო, საშველი არსად არის სწრაფი და საკმაო და სხვანი და სხვანი.

ეს ნაკლულოვანება იგრძნო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, ბევრჯელ ჩამოაგდო ამაზე ლაპარაკი, ბევრჯელ აიღო, დაიღო და ბოლოს 1894 წლის 30 მაისში მთელის კრებულის ერთიანის ხმით დაადგინა: საქმე ტფილისის გუბერნიაში სოფლობის დაწესებულებათა (земскія учрежденія) გადაეცეს კამისიას, შედგენილს გუბერნიის და სამაზრო მარშლებისაგან. რადგანაც 30 მაისს 1894 წ. სათავად-აზნაურო კრებაზე ამ საგანზე სიტყვა ჩამოაგდო თ. გ. მ. თუმანიშვილმა, ამასვე მიანდო კრებამ ამ საქმის შესახებ პროექტი მომამზადოს. კარგა ხანს გასტანა ამ პროექტის შედგენამ, რადგანაც სხვა-დასხვა ადგილებიდამ საჭიროდ დანახულ იქმნა შეგრეოვება ცნობებისა. ბოლოს პროექტი შემზადდა და 28 თებერვალს 1896 წლისას თ. გ. მ. თუმანიშვილმა წარუდგინა ბ-ნს გუბერნიის მარშალს და სთხოვა მოიწვიოს ხსენებული ზემოდ კამისია და, თავად-აზნაურთა კრების განაჩენისამებრ, გაასინჯოს.

საჭიროა და სასურველი ჩვენში შემოღება მაგ სოფლობის დაწესებულებისა, ან რამოდენად ზედ გამჭრილია და შესაფერი ჩვენთვის თ. გ. მ. თუმანიშვილის მიერ შედგენილი პროექტი, —ჩვენ ამის გამორკვევას არ შევუდგებით. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით და ვგონებ ბევრნიც სხვანი დაგვეთანხმებიან, რომ საგანი დიდის ყურადღების ღირსია. სხვა არა იყოს-რა, ჩვენი შინაური საქმე ჩვენვე გვქონდეს ხელში წარსამართავად და სპპატრონებლად, ჩვენვე გვქონდეს ხელში ღონე ჩვენისავე თავის შეღლისა და ათას ნაირ საერთო განსაცდელისაგან ხსნისა, ჩვენვე გვებაროს სოფლობის ფული (земскія суммы) და ჩვენვე გვეკითხებოდეს სად რას მოვახმაროთ, — ეს ისეთი საგანია, რომ ღირს კაცმა მთელი თავისი დრო და მოცალეობა ზედ შეალიოს, თუნდ თავად აზნაურთა კრებისაგან დავალებულიც არ იყოს. ეს ისეთი საგანია, რომ ანბანის უცოდინარსაც-კი უნდა ესმოდეს მისი სიდიდე და სიმძიმე.

სად არის ეხლა იგი კამისია, რომელსაც ამისთანა დიდის საქმის შესახები პროექტი უნდა გაესინჯა და თავისი დასკვნა წარედგინა თავად-აზნაურთა კრებისათვის? შარშან თებერვლიდგან დღეს აქამომდე სამი თვე ოთხი კრება ჰქონია თავად-აზნაურთა [illegible] ამოსულა არავის ფიქრადაც არ მოსვლია ეუწყებინა თავად-აზნაურთათვის, რომ მომზადებულია პროექტი და უკვე წარდგენილი შარშან თებერვლიდამვე. ეხლაც 28 მაისს დანიშნულია მორიგი კრება თავად აზნაურობისა და არც-კი დაუნახავთ საჭიროდ, რომ სხვათა საგანთა შორის ეს დიდი საგანიც აღენიშნათ კრების განსახილველად. კრებაში წარდგენას ვინა სჩივის, კამისიაც-კი ამ მთელის ერთის წლის განმავლობაში არავის უფიქრია მოიწვიოს, რომ პროექტი, თავად-აზნაურთა განაჩენისამებრ, გაესინჯათ. განა ასეთის პატივის ღირსია მთელი კრებული მთელის გუბერნიის თავად-აზნაურობისა, რომ ასე თვით-ნებობით ექცევინენ მის განაჩენს, და აინუნშიაც არავის მოსდის არც მისი სურვილი, არც მისი განაჩენი, თითქო ბაზრის ბიჭების ნაუბედი რამ იყოს, ქარის მოტანილი და ქარის წასაღები. რად უყურებენ მთელს თავად-აზნაურობას ამისთანა აბრუ გასატეხ თვალითო? როდის აქედ გაუტყდა ეს აბრუ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობას, როდის აქედ ჩამოერთო საზოგადოებრივი ღირსება, რომ მის განაჩენს კანონიერ და საპატიო გზას არ უსწინან, მის სიტყვას ყურს არ ათხოვებენ და აგრე აუსრულებლად და, მასადამე, უპატიურად სტოვებენ, თითქო ბაშვის ტიტინი იყოს და არა ჭკუა დამჯდარის კრებულისა, რომელმაც იცის რას მოქმედობს, რას შეუწყოს ხელი და რას არა.

აქ ვის რა ხმა ამოიღება, ვის რა ხელი გაუწვდება, რომ კანონიერი ვსლა ამ საქმისა თავისის ნებით ამრკოლოს? ამისთანა ყოველად-შემძლებელობა ვის აუღია თავის-თავზე? ვის აქვს იმისი უფლება და ნება, რომ თავად-აზნაურთა კრების განაჩენისამებრ შესრულებული საქმე ასე მჭვრად გახადოს და გამხილების ფიქრს მაინც არ შეუშინდეს? ესეთი ქცევა სასაცილოდ, სამარცხვინოდ და აბუჩად აგდებაა მთელის თავად-აზნაურობისა, რომლის განაჩენსაც ასე მჭვრად ჰხდიან.

ნუ თუ არ იციან, რომ თავად-აზნაურთაგან ამორჩეული კაცი, ვინც გინდ იყოს, სხვა არა არის-რა, გარდ იმისა, რასაც თავად-აზნაურობა—და მარტო თავად-აზნაურობა—ჩასძახებს, ის უნდა ამოიძახოს და არა თვით-ნებობდეს და თავისის ჭკუით იწუნებდეს ან ერთს, ან მეორე განაჩენსა, ამორჩეველთაგან დადგენილს. ყველას შეუძლიან, რასაკვირველია, თავისი აზრი იქონიოს, როგორც ყოველს კერძო კაცს, მაგრამ თავად-აზნაურთა საქმეებში მარტო თავად-აზნაურობაა მბრძანებელი და არა სხვა ვინმე. მართალია, ბევრი იმისთანა კაცია ქვეყანაზე, რომელთათვისაც კანონი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ აქედან სულაც არ გამოდის ის, რომ სხვები [illegible] და ხმა [illegible] ყმად გაიხადონ. [illegible] თავისი კუთვნილი ღირსება აქვს და ნამეტნავად მთელს თავად-აზნაურობას, როგორც მთელს კრებულს, ჭ ნუ თუ ღირსების დამცირება, ღირსების შელახვა არ არის, რომ, მაგალითად, ჩვენმა მოხელემ ჩვენს მოსაზრებულს სიტყვას, ჩვენს მოფიქრებულს განაჩენს ზედ არ შეხედოს, ხალიჩას ქვეშ ამოდოს სადმე და გულში იძახოდეს: ბევრი იმისთანა სულელობა გვინახავს, ეგეც იმათშია.

სად არის ეხლა იგი პროექტი, იგი კამისია? რატომ თავისი გზა და სვლა არ მისცემია ან ერთს, ან მეორეს? ჩვენ ამის პასუხად ორი რამ ვიცით: ერთი ის, რომ ბ-ნ გუბერნიის მარშლისათვის 28 თებერვლის 1896 წელს წარუდგენიათ მომზადებული პროექტი და ის დღეა და ეს დღე არც კამისია, არც ჩლავი და არც ფლავი. უთუოდ წნილად ჩაუდვიათ და ელიან, როცა დამეკვდება.

პატრონობა საქმისა, თუ გნებავთ, ეს არის, და რადგანაც სიჩქარით სოფელი არავის მოუუპამია, ჩვენც ვითმინოთ, აგებ მოთმინებითია ჩვენითა სული ჩვენი მოვიპოვოთ ოდესმე. ესეც კაი ნუგეშია, თუ თქვენც იტყვით.

ყველაფერი ახია ჩვენზე. რაც მოგვდის ჩვენივე ბრალია, სხვას ნურავის ვუსაყვედურებენ. ტყუილად კი არ დაიკენძვიან, ნამეტნავად ამ ბოლოს ხანებში, და იძახიან: რა თავად-აზნაურობა, ვინ თავად-აზნაურობაო, განა თავად-აზნაურობას თავი აქვს რამ ისაქმოს და გააკეთოსო! ან არისღა თავად-აზნაურობაო!...

მოდით და თუ არ დაგიშლიათ, სიტყვა მოუტერეთ, სიტყვა შეუბრუნეთ ამის მოქმელს.

ᲛᲝᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

—

დანიშნულ იქმნენ: გორის მაზრის უფროსის უმცროსს თანაშემწეს თანამ-

დებობის აღმასრულებელი, პორტიო�aზისერმანი — თელავის მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელად.

სუხუმის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი, ნადვორნი სოკოლეტნაია გამეცმლიძე — ბოჟა პრომასლის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად.

ყვირილის მაზრის ხაზინის ბუღალტერი, ტიტულიარნი სოკოლეტნაია ყორღანოვი — სახელმწიფო პალატის მესამე განყოფილების ბუღალტრად. კასტროვრაის უსრასსო მოსულნი: სახელმწიფო პალატის კეკელი კერესელიძე და არდაგასის მაზრის ხაზინის გრასამე კაკაბაძე — მაზრის ხაზინის ბუღალტერის თანაშემწეებად. კერესელიძე — გორში, ხოდო კაკაბაძე — არდაგანში.

დროებით დათხოვნილ იქმნენ: განჯის გუბერნატორი, გენერალ ლეიტენანტი თაჯადი ნაკაშიძე — 14 დღით; ტფილისის მახეიდის საკანონმდებლო უფროსი ორდანატორი, ეკმა, ნადვორნი სოკოლნაია ორბელი — 2 თვით.

ახალი ამბავი

—

* * * მთავრობას ბ-ნ რიეოვისათვის ნება დაურთავს ბაქოში ახალი ბ[illegible]ის გამოცემისა. ამ გაზეთს სახელად ეწოდ[illegible] „Бакинскій листокъ“ („ბაქოს ფურცელი“)

* * * ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის მმართველობამ ბ-ნ ტფილისის პოლიცმეისტერს მიანდო — მოქალაქეთა გამგეობის უფროსად ნამყოფს აბრამოვს ძალა დატანეო, რომ გამგეობის ყველა საქმის ქაღალდები და არხივი ამა გამგეობის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს ივდიგაროვს გარდასცესო. ეს განკარგულება იმან გამოიწვია, რომ თუმცა რამდენჯერმე მოსთხოვეს, მაგრამ აგერ $2^1/_2$ თვეა, აბრამოვი არავის ანგებს თუმრე ხსენებულს ქაღალდებს.

* * * 14 თებერვალს ქალაქის გამგეობამ დაადგინა — ქალაქის განაპირა ადგილებში 100 ახალი ფარანი კიდევ დაიდგასო.

* * * 13 თებერვალს ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიას და ქალაქის გამგეობას დაუდგენიათ, ოთხის თვით შავის სახადით ავადმყოფთათვის საავადმყოფო დააარსონ. საავადმყოფოში 20 კაცი უნდა მოთავსდეს. ამ საავადმყოფოსთვის 2 ექიმი და 2 ფერშალი იქმნება მოწვეული. საავადმყოფოს შენახვის სულ 5,318 მან. მოუნდება თურმე.

ამ საგანს საბჭო ამ დღეებში განიხილავს.

* * * გაზ. „ნოვ. ობ.“-ეს ბაქოდგან აუწყებენ, რომ შავის ჭირის გაჩენის შესახებ გავრცელებულმა ხმამ ძალიან შეაშინა აქაური მუშებია. ბევრი იმთვანი მუშაობაზედ ხელს იღებს და სამშობლოში მიდის. სპარსელი მუშებიც-კი გარბიან ბაქოდგან თავიანთ ქვეყანაში. არც თხოვნა, არც მუქარა და არც ჯამაგირის მომატება იმათ ვერ იქერს, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ შავი-ჭირი ბაქოს არ ასცდებაო. თუ ასე გასტანა ამ საქმემ, ქარხნების პატრონები იძულებულნი იქნებიან მუშაობა შეაჩერონო.

* * * „ს. პეტ. ვედ.“-ი ამბობს: ჩვენ გავიგონეთო, რომ მთავრობის წინაშე აღძრულია ლაპარაკი გროზნის ნავთის ქარხნებიდგან კასპის ზღვამდე ნავთის გასაყვანი მილი გაკეთონო.

* * * რაც ჩაქვის საუფლისწულო მამულში შარშან ჩინეთის ჭინჭარი მოსულია, პეტერბურგს გაუგზავნიათ სახელმწიფო ქაღალდების მომზადებელს ექსპედიციაში. ამ ჭინჭარს ქაღალდის ფულის გასაკეთებლადა ჰხმარობენ, რადგან იგი ძალიან ძარღვიანი მცენარეა. ჩაქვის ჭინჭარი უკვე განიხილა ამ მხრით განსაკუთრებულმა კომისიამ და მოიწონა კიდეც.

* * * გაზ. „კასპის“ სიტყვით, ასხადადის ხაზინაში 10,000 მან. დაკარგულა. 7 თებერვალს ბაქოში დღეშა მიუღიათ, რომ ამ ხაზინის უფროსმა ბუხგალტერმა მონომახოვმა თავი მოიკლაო.

* * * ბორჯომიდგან ბაკურიანამდე ვიეშრო-ლიანდაგიან რკინის გზის შტოს გასაყვანად გამოკვლევა უკვე დაუმთავრებიათ და ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ბ-ნს ვედენეევს ამ იანვრის თვეში წარუდგენია გზათა უწყების სამინისტროში და თავისის მხრივ ის აზრი წარმოუთქვამს, რომ [illegible] იქნება ეს გზა გაყვანილ იქმნასო. ამ გვ[illegible] [illegible] რომ ახლო ხანში ამ შტოს გაყვანის საქმე საკეთილოდ გარდასწყდება. შტოს 31½ ვერსი სიგრძე უნდა ჰქონდეს. სადგურ ცემიდგან განზრახული შტო გვერდით გაუხვევს, ცოგვერს გადასჭრის და იმ ადგილამდე წავა, სადაც წყაროა მიტარბკი შავს წყაროს უერთდება („ახ. მიმოხ.“)

* * * ქართველ საზოგადოებას კიდევ წიგნების გამომცემელი ამხანაგობა ემატება. ამ ამხანაგობას სახელად ეწოდება „წყაროო“. ამხანაგობას წესდება უკვე შეუდგენია და, იმედი უნდა ვიქონიოთ, საქმესაც ჩქარა შეუდგება. ამიანათ ოთხი გამომცემელი ამხანაგობა გვყავს ამ ჟამად.

„წყაროს“ წესდება ჩვეულებრივად არის შედგენილი; მხოლოდ რამდენიმე იმისი მუხლები განირჩევა სხვა ამგვარივე ამხანაგობათა წესდებისაგან. აი მაგალითად:

„მუხ. 9. ამხანაგობის წევრს საანგარიშო წლის ბოლოს ეძლევა მოგებიდგან ნახევარი პროცენტი ($^1/_2$%) დანარჩენი მოგება ემატება საწარმოვო თანხას.

„მუხ. 14. საზოგადო კრება ჩაითვლება კანონიერად დამსწრე წევრთა რიცხვის მიუხედავად.

მუხ. 29. შრომის ფასი ამხანაგობის საქმის მწარმოებელთ ენიშნებათ იმ დროიდგან, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავს საზოგადო კრება.

მუხ. 30. მსურველნი ჩაირიცხებიან წევრად კენჭის ყრით მმართველობის და სარედაქციო კომისიის — მიერ.

„მუხ. 31. წილის ფული არავის დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წევრი ამხანაგობისა ირიცხება (?) მისგან საზოგადო კრების დადგენილებით.“

ამ ახალს საზოგადოებას აზრად აქვს გამოსცეს ქართულს ენაზედ ორიგინალური და ნათარგმნი წიგნები და პერიოდული გამოცემანი და შეუძლიან წესდებით საქართველოს სხვა და-სხვა ადგილას წიგნის საწყობები და მაღაზიები გაჰმართოს და აგენტები იყოლიოს. შეუძლიან აგრეთვე დააარსოს სტამბები, ლიტოგრაფიები და სხ. თითოეულის წევრის შესატანს ერთი თუმანი შეადგენს.

* * * ქალაქის გამგეობა ამ ჟამად პოლიციაზე ჰხარჯავს 73,000 მანეთს. ხაზინა-კი პოლიციაზე ჰხარჯავს 100,000 მანეთს. რადგანაც კანონის ძალით პოლიციის შენახვა ქალაქის გამგეობის მოვალეობაა, ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვარდაუწყვეტია, რომ ქალაქმა ამიერიდგან წელიწადში 100 ათასი მანეთი დახარჯოს პოლიციაზეო. ქალაქის საბჭომ მოახსენა სამინისტროს, ფული არა გვაქვს, 73,000 მანეთზედ მეტს ვერ დავხარჯავთო, მაგრამ სამინისტრომ კვლავ მოსწერა, ქალაქის გამგეობამ თანდათან უნდა მოუმატოს ხარჯს პოლიციისას და 1900 წლიდგან ყოველ წელიწადს 100,000 მანეთი გადასდოსო. ქალაქის გამგეობამ 11 თებერვალს კვლავ განიხილა ეს საქმე და კიდევ უარი განაცხადა პოლიციის ხარჯის მომატებისა. ფული არა გვაქვსო, 18,000 მანეთი მილის შეკეთებისათვის დავხარჯეთო, 7,000 მანეთი ახალ სამკურნალოსათვის და 45,000 მანეთი გადავდეთ ქალაქის დასუფთავებისათვისაო.

* * * ახალგაზრდა მომღერალი კარგარეთელი, ხვალ, 17 თებერვალს, სახელმწიფო თეატრში მონაწილეობას მიიღებს „დემონის“ წარმოდგენაში და შეასრულებს თავადის როლს.

* * * გორი: 13 თებერვალს, გორში, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ჯობებში კაცის უსულო გვამი ჰნახეს, რომლის ვინაობაც ჩქარა აღმოჩნდა. ის იყო სოფ. ხიდისთავის მცხოვრები და იმავე საზოგადოების მწერალი დიმიტრი ჯომარჯიძე. განსვენებულის გვამი გასინჯა ადგილობრივმა ექიმმა ბეზირგანოვმა და აღმოჩდა, რომ ჯომარჯიძე არავის ხელით არ ყოფილა მოკლული. აქ იმ აზრისანი არიან, რომ მთვრალი ყოფილა, ტალახში გადავარდნილა და დამჩრჟალაო. ჯომარჯიძის უეცრად სიკვდილმა მაინც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გორში; ზოგი რას ამბობს და ზოგი რას. საქმე გამომძიებლის ხელშია და ვნახოთ გამოძიება რას აღმოაჩენს.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრება.

როგორც მკითხველებმაც უწყიან, 1893 წ. კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ზრდილ, ჩვეულებრივ კრებათა გარდა, ჰმართავს აგრეთვე საბაასო სალამოებს, რომელსაც საგნად აქვს მეცდრო კავშირი დამყაროს ამ საზოგადოებასა და სოფლის მეურნეთა და მწარმოებელთა შორის. ბარასკევს, 14 თებერვალს, იყო დანიშნული ერთი ასეთი სალამო, რომელსაც უნდა გამოეძებნა საშუალებანი იმისი, თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეთა და კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის მოსამსახურეთ მომხმარებელ საზოგადოების შორის კავშირი დაარსდესო.

კრებას დაესწრნენ როგორც რკინის გზის მოსამსახურეთა საზოგადოების წარმომადგენელნი, ისე კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრნი და სოფლის მამულენი. (სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ ორიოდე დაესწრო: თ-დნი დ. ზ. ბარათაშვილი და ვაჩნაძე).

კრების თავმჯდომარემ, ბ-ნმა ა. ბ. ევანგულოვმა, გააცნო რა დამსწრეთ ბაასის პროგრამა, მიჰმართა რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარეს, ბ-ნ ბოჩკარევს და სთხოვა, რომ კრებას შესაძლებელის სავსებით გააცნინ თქვენის საზოგადოების ვითარებაო.

ბ-ნა ბოჩკარევმა ცოტა შორიდგან დაიწყო თავისი მოხსენება, მაგრამ ჩინებულად აცნობა დამსწრეთ თვითმომხმარებელ საზოგადოებათა ისტორია.

მომხმარებელი საზოგადოებაო, — სთქვა ორატორმა, — პირველად შემოიღეს ინგლისში, სადაც ცხოვრება ერთი-ორად მეტი ჯდება, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. ინგლისში უმეტეს ნაწილად უქირდა და უქირს მუშებს, რომელნიც ისე მცირესა და უმნიშვნელო ფასს იღებენ თავისს შრომაში, რომ არავითარი სახსარი არა აქვს თავის გამოკვებისაო. ამიტომაც პირველად ასეთი საზოგადოება დაარსეს მანჩესტერის მუშებმა, რომელთაც მხოლოდ 300 მანეთი ძირითადი თანხა ჰქონდათ. სულ მცირე ხანში ისე ჩინებულად მიუდგა ამ საზოგადოების საქმე, რომ დღეს ისისის წმინდა მოგებით ორი საუფალო ტიპის სასწავლებელია დაარსებული და რამდენიმე სტიპენდიებიც აქვთ სხვადა-სხვა უნივერსიტეტებშია. ევროპაში, როგორც ვიცით, კაპიტალის პატრონს დიდ ბედნიერებადაც მიაჩნია, თუ თავისს ფულს 5—6% აადებინა, მაშინ, როდესაც რუსეთის ვაჭარი 20%-საც არა სჯერდებაო. ორატორმა ჩინებული ცნობები მოიყვანა ისის შესახებ, თუ რა დიდს სარგებელს იღებენ რუსეთის ზოგიერთი დიდი სავაჭრო ფირმები; სხვათა შორის სთქვა, რომ პაპოვი და სხვა ჩაის მწარმოებელნი ყოველ 1 მანეთზედ 42 კ. წმინდა მოგებას ურიგებენ თავისს წევრებსო. ჩვენში, კავკასიაში-კი, სადაც კაპიტალი ჯერ ასე მცირეა, უფრო ცუდად არის დაყენებული ვაჭრობა-აღებ-მიცემობის საქმეო. ჩვენში ვაჭარი 100%-სა და მეტსაც იღებს და ეს ხომ სოფლის მეურნეთათვის ერთობ საზარაფლოაო. გლეხს ათასი ჭირი აწევს თავზედ, არ იცის რითი გაისტუმროს სახელმწიფო, რითი გაისტუმროს მღვდელი, მტერი და მოყვარე; რითი გარდაიხადოს ნათლობა-ქორწილი, აღაპი და სხ... ამიტომაც იგი იძულებულია თავისი უკანასკნელი ნაწვავ-ნადაგი გაიტანოს ბაზარში და ნახევარ ფასად გაჰყიდოს. ამითი მარჯვედ ჰსარგებლობს ჩარჩი ვაჭარი და ნახევარ ფასად იგდებს ხელში მწარმოებლის მთელს ავლა-დიდებას.

ამიტომაც, სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, როგორც მეურნესა და მწარმოებელთან დაახლოვებული ორგანო, უნდა ჰხრუნავდეს რიგიანი ბაზარი მოუპოვოს სოფლის ნაწარმოებს და ამით გააუმჯობესოს როგორც მკვიდრთა ქონებრივი მდგომარეობა, აგრეთვე თვით მეურნეობაც. ამ საზოგადოების მოვალეობას შეადგენს ყოველგვარი საშუალება იზმაროს თვით მხმარებელთა და მწარმოებელთა შორის დამყაროს პირდაპირი დამოკიდებულება, ლაგამი ამოსდოს ჩარჩ-ბაცაცების გაუმძღარ მადას და ამითი სამსახური გაუწიოს როგორც მწარმოებელს, ისე მხმარებელსაც.

ამის შემდეგ ორატორი შეეხო თვით რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელს საზოგადოებას და სთქვა, რომ თუმცა სულ ორი ორი წელიწადია, რაც ჩვენი საზოგადოება დაარსდა, მაგრამ ამ მოკლე ხანშიაც საკმაოდ გადიდდა და გაიზარდა იგი და ისისდა მიუხედავად, რომ საზოგადოებას მხოლოდ 15.000 მანეთი ჰქონდა თანხა, დღეს 500,000 მანეთის აღებ მიცემობა აქვს ამ საზოგადოებასო, და ბოლოს ის იმედი გამოსთქვა, რომ ამ მიმდინარე წელს ეს ფული ერთი-ორად იმატებსო.

ბ-ნმა ბოჩკარევმა წაუკითხა კრებას, თუ რამდენი სანოვაგე მიუყიდნია საზოგადოებას თავისის წევრებისათვის. აი ეს სიაც:

გამომცხვარი პური — 21,600 ფუთი — 70,000 მ., ხორცი — 18,000 მ. კარტოფილი — 15,000 მ., კომბოსტო — 15,000 მ., ყველი — 1,500 ფუთი, ერბო — 2,000 ფუთი, ბრინჯი — 3,000 ფუთი, კვერცხი — 250,000 ცალი. კიტრის წნილი — 3,000 ბოჩკა; (კიტრს პირდაპირ ასტრახანიდგან იწერენ). ჩვენს საზოგადოებას არაფრად არ უჯდება საქონლის გადატან-გადმოტანა და ეს გარემოება მით უფრო დიდ შეღავათს მისცემს საზოგადოებას ჩარჩ-მოვაჭრეებზედ უფრო პირიანად და სინდისიერად იყიდოს საქონელი თვით მწარმოებლისაგან. აგრეთვე მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ საზოგადოებას შეუძლიან მიიღოს საქონელი მწარმოებლისაგან, ყოველ დიდს სადგურზედ, სადაც-კი თავისი განყოფილება აქვს, როგორც მაგალითად, სამტრედიასა და ხაშურში. ამ მოკლე ხანს ასეთი განყოფილებანი იქნება დაარსებული ბაქოსა და ყველა დიდ სადგურებზედაო.

დიდხანს გასტანა სჯა-ბაასმა იმის შესახებ, თუ რა საქმე უნდა იკისროს სამეურნეო საზოგადოებამ ამ შემთხვევაში და გარდასწყვიტეს:

მომხმარებელმა საზოგადოებამ უნდა წარმოუდგინოს სამეურნეო საზოგადოებას ნუსხა და ფასები იმ ნივთებისა, რომლის შეძენაცა ჰსურს. სამეურნეო საზოგადოება თავისს გაზეთში გამოაცხადებს ყოველს ამას მწარმოებელთა საყურადღებოდ. მიიღებს მწარმოებელთაგან ნაწარმოების ნიმუშებს, რომელიც გამოფენილი იქნება ამავე საზოგადოებასთან დაარსებულ ბიუროში.

დაწერილება განხილა ამ საგნისა პარასკევის 28 თებერვლისათვის გადაიდო.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „გრაჟდანინის“ რამდენსამე ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი კავკასიელის აფიცერისა საქართველოში გავრცელებულ ავა-

ზაკობის შესახებ. ამ წერილის ავტორი 1864 წლიდგან ყოფილა საქართველოში და, მისის აზრით, ეარგადა აქვს გაცნობილი ჩვენის ქვეყნის ავ-კარგიანობა. იგი სცდილობს გამოუძებნოს მიზეზი ავ-ზაკობის სიმრავლეს და, სხვათა მორის, ასახელებს ბატონ-ყმობის განთავისუფლებას, ბევრს აალაგას აქამდე ადგილ-მამულის გაუნაწილებას, უწესოდ შემოდებას სასამართლო წეს-წყობილებისას და აგრეთვე თვით ამ ქვეყნის გამგე-მმართველთა უვარგისობას.

არა თუ 1864 წ., არამედ ამ საუკუნის დასაწყისშიც, რადგანაც საქართველო რუსეთს შემოუერთდა, ავაზაკები იყვნენ, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად, ვიდრე შემდეგ გაჩნდნენ. მაგალითებრ, თავ. ვორონცოვის დროს ცნობილი იყო თავისის სამარჯვეთა და მამცოდნი არსენეს, ნაუმეკი თავ. ბარათაშვილისა, ზარ-დამცემი ურეა და სომეხ ავაზაკების, რომელთაც თავისის ადგილთ—საყენით აზოგინებდა. ადგილობრივმა პოლიტიკამ შეაქმეს კიდევ ეს სალეკენდო ავაზაკი და ამისი ადგილ. მაშინ ავაზაკები გამოდიოდნენ ხანდახან ოსთაგანაც, მაგალითებრ ცნობილნი ბისტა და კანი, მაგრამ ისინი საზოგადოდ ძალიან ცოტანი იყვნენ და თვით მეცხოვრენიეკ ადგილად მოდიოდნენ ამოის ოხტაზე.

ავაზაკობათა რიცხვითი, ამბობს „კავკასიელი ანიცერი“, გამრავლდა ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგაო.

„ბატონ-ყმობა დიდი ხანია გაუქმებული იყო, მაგრამ ბევრი ადგილი კიდევ აქამდე უმაწყ-წყალოდ არის დარჩენილი. ადგილობრივნი მეკიდრენი ამის ბრალს მომრეგვიდ-შეკალებენ ხდებენ, რომელთაც აქამდე კერ გაუბრკვევთ და გაურკვევთ ადგილთა და მეცხოვრეთა დაკა ხანა-ჯარ ადგილებისა და წყალის გამო. სულ შედარ აურზაურია, რომელსაც ხშირად სისხლის ღვრაც მოჰყვება ხოლმე. საზოგადოთა გამო დაკვლაც ბევრჯელ მოჰყოლია ჩხუბი; ამ ჩხუბში კიდის მეკალეი გაბრალდა და თვისგან ენებერად აიულებულ იყო ავაზაკობა დაეწყო (თავის დროზე ცოტა მეთქმა-ზოთქმა არ გამოწვეია თავად ანდრონიკაშვილებისა და ვაჩნაძეების მტრობამ). თუმცა დიდ მოთაკრ მეხეალ ნიკოდოროზის ბან დროს ბევრი რამე გაკეთდა რ ფ მდინარეთა სარეგულაციის სიქმის განსაკრებულად, მაგრამ ესენი ეს სიქმე დამთავრებული არ არის; ამ საქმისათვის ადგილობრივის ჩეკულებას უნდა მეტეს ეფექტესობა და ამ ჩვეულებათ-ეი წყალი საზოგადო გუთნიდებსა, რა-გორც ჭარი.

ამას უნდა დამატოს ხიზანთა-საქმეც. ამათა და მეცხოვრეთა შორისაც ხშირია დავა მიწა-მამულის გამო და ამ დავასაკ ბევრჯელ ჩხუბი, აურზაური და სისხლის ღვრა მოსდევსო. თავ. დონდუკოვ-კორსაკოვის მთავარ - მმართველობის დროს ბევრჯელ ადიძრა ეს საგანი, მაგრამ უძრავად დევს აქამდის და არ განხილულაო.

ბატონ-ყმობის გაუქმებამ, განსაკუთრა რა ძველი მამა-პაპური წეს-რიგი, გაჭირვება დაუყენა წინ მტარეკმამულიანს თავად-აზნაურებს, რომელთა სხვადა ადგილისა და იარაღის მარჯვედ ხმარების მეტი უფროს ერთმა მათგანმა სხვა არა იცოდა-რა და არცა ეხლა აქვს ტოდნ რასამე. ბევრ-კაცობამ, როგორც შრომის მოყვარემ, და სიმხნეობამაც დაიწყო ამ თავად აზნაურთა მამულების სეფდა. დარჩენ რა უმამულოდ, ადარ იციან რა ქმნენ და ჭამბრობენ უფრო იმ საკუთს, რის ხმარებაც ემარჯვებათ, კ. ი იარაღს, ზოგნი მოწეენილობის გამო, ხოლო სხვანი, უფრო ზნეობა-წამხდარნი, რაკი ფეფი შემოაკლდებათ, ფოსტას ესხმიან თავს, გამეფილ-გამომეფილს, და თუ ადად კარდებიან.

ეკოველსაკვე აქ ნათქვამს წერილის ავტორი საქართველოს შესახებ ამბობს. რაც შეეხება ინ გუბერნიებს, სადაც უფრო მაჭმადიანნი მოსახლეობენ (ბაქოს, ერევნისა და განჯისა), იქ თავისი ადგილობრივი მიზეზებიც მოიშოვება ავაზაკობისაო.

ბაქო, ლენქორანი და ერევანი სპარსეთს გამოეცალა ხელადგან, აქ ხალხი უფრო გარეულია. სპარსეთის საახლოვეკ შეძლებს აძლევს ავაზაკებს დასხეოინ თავი სასეკულს და გარდაინეკენენ სპარსეთს, სადაც თავს ანებებენ ხელობას ავაზაკობისას და ხშირად დადი ადგილეკი ემლეკეთ სამსახურში. მაგალითებრ, გამოჩენილი ქაჯრაძე თავრაზის გუბერნატორის მსეკებელ რაზმის, ბადრაგის უფროსია, თუ რადაც სხვისაო.

თავადმა კარანტოვმა, როდესაც წეს-რიგში მოჰყვედ კავკასიის მმართველ-გამგეობის საქმე, ზოგიერთ სპეციალ კაცთ ბეგობა და ადგილ-რობა მიუბაძა. ეს მგონი შედგომა იყო ამ გამოჩენილის სახელმწიფო კაცის მსრივ, რადგან სოფლის ახლად გამომეხეკარ ადარეზერატორთა შორის წესად შეკადა ავაზაკთა მფარველობა. რადგან უფრო კაკელინაენნი და შემლეზეულნი ადიან, ისინი ავაზაკებთან ერთად მდადრდებიან მეკიდრის ეკლეკეთ და ძალ-მომრეობენ კიდევ, ასე რომ მეკიდრთ ამთი უფრო ეშინიანთ, ვიდრე მოსელეკებისა. ასეთ ქეკეულისათვის საშაშ მოქმედების მოსასხმობად სწრაფი სასამართლოა საჭიროა და სასტიკნი დონისმაებანი. მაგალითებრ, თავ. ნ. ზ. ჯაკეკაკემ, როდესაც იგი განჯის გუბერნატორად იყო, საკმაოდ შეაშინა თავისს გუბერნიაში ავაზაკობა. ეკეკლა ავაზაკების მფარველთ განაძეკებდა ხოლმე და ამითი ამთავე თავს ადეკეინებდა შერისძიებისაგან, რომელიც გასცემდნენ ავაზაკებს მფარველთა.

შემდეგ ავტორი შეეხება მთიელთა სამართალს, ცრუ-მოწმობას, მოიელთა უვარგის ადას და სხ. ჩვენ ადარ მოვიყვანთ ამ საგნების შესახებ იმისს აზრს, რადგან იგი საერთო აზრია, არა ერთ გზის გამოთქმული როგორც სიტყვიერად, ისე ბეჭდვით. არც ამას ვიტყვით, რამდენად მართალი მიზეზები გამოუძებნია ავტორს საქართველოში არსებულ ავაზაკობისათვის. მადლობელნი ვართ ამისიც, რომ ავტორი მიზეზების ძებნას მაინც გამოსდგომია და ავაზაკობა ქართველთა ტანსაცმელის შემამკობელს იარაღს—ხანჯალს არ მიაწერა სულ მთლად.

უცხოეთი

კრიტის საქმე. კრიტის საქმის შესახებ აი რასა სწერს გაზ. „ლეჩ“-ი: „სულთანის სიამოვნება და მისი ხათრი ხომ არ აიძულებს ევროპას გამოესაჩრელოს და წინააღმდეგობა გაუწიოს ბერძნებს, რომელთაც ყველანი თანაუგრძნობენ. შიში და სიძულილი ოსმის მიმართ ყველგან ისე ძლიერია, რომ როგორც-კი მდგომარეობა საშიში შეიქმნა, დეპეშებმა გაიტანეს ყველგან ამბავი, რომელიც წინად შეუძლებელად მიიჩნდათ: ინგლისი და საფრანგეთი, რომელნიც ევგენიტისათვის საომრად ემზადებიან, აღმოსავლეთის საქმის გამო თანხმობით მოქმედებენ; საფრანგეთის ადმირალი, როგორც უფროსი ხარისხითა, გერმანიის სამხედრო გემებსაც უფროსობსო. ავსტრია ჭ რუსეთი კრიტის ნაპირებზედ ერთმანეთს უერთებენ თავისს სამხედრო ძალ-ღონესაო, სამთა ჭ ორთამოკავშირეთა ნაცვლად ეხლა დიდი სახელმწიფონი ისე მოქმედობენ, თითქოს ერთმანეთს ეკავშირებოდნენო... სწორედ საკვირველი ამბავია! სხვა-და-სხვა სახელმწიფონი, აქამდე ერთმანეთის მტერნი, შეერთებულან, რომ პატარა ქვეყანას ებრძოლონ, რომელსაც ყველა თანაუგრძნობს და რომლის თავ-გამოდებაც ყველას მოსწონს... და ამას იმ ქვეყნის სასარგებლოდ სჩადიან, რომლის არსებობა ევროპაში ქრისტიანეთა ცივილიზაციის შეურაცხყოფად არის აღიარებულია“.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲘᲓᲒᲐᲜ

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

5 თებერვალი.

შავ-ბეღითის ოსმალეთზედ ამ ათის წლის განმავალობაში მრავალი რამ ითქვა და დაწერა. დეპეშები, მეთაური წერილები, ფელეტონები და სხ. თითქოს ერთმანეთს ეკიშპეპოდნენ ოსმალეთის საქმეთა გარემოების გადმოცემას. მინისტრები, პარლამენტთა დეპუტატები, დესპანები, პუბლიკისტები და თვით გვრიგენოსანნიც-კი ზოგი რას ამბობდა ოსმალეთის შესახებ და ზოგი რას. მაგრამ ყოველივე ეს დარჩა სიტყვად, მხოლოდ მშრალ სიტყვად და სხვად არარად. არავითარი პრაქტიკული შედეგი ამ სიტყვებს არ მოჰყოლია. ევროპის ოტატორთა და პუბლიცისტთა სიტყვების რახა-რუხში და კალმის მოსმაში ბევრი არა ეხარჯოდათ-რა, და წარმოიღებენეთ—სიტყვიდგან საქმეზედ რად გადავიდოდენ? უფრო ხშირად ისიკ-კი ხდებოდა, რომ ბევრი იმთგანი სიტყვით ერთს ამბობდა, ხოლო ფიქრით-კი სულ სხვას ჰფიქრობდა. ევროპის ასეთი საქციელი ილდიზ-კიოსკისთვის საიდუმლოს არ შეადგენდა. ხონქერის ქვეშევრდომთ-კი მომეტებულად ქრისტიანეთ, აუტანელი უღელი უფრო და უფრო აწვებოდა კისერზედ. ისინი ქონებრივად, მოქალაქობრივად და ზნეობრივად თანდათან უარესს გარემოებაში ვარდებოდნენ. ხალხის მდგომარეობა უკან-უკან მიდიოდა და შეელა-კი არსაიდგან იყო.

ხალხსაც მოეწყინა ამდენი ლოდინი; დარწმუნდა, რომ ჩემის ბედიღბალისათვის სხვები თავს არ შეიტკიეპენო, და სხვა რაღა ღონე იყო, თითონვე უნდა ეზრუნა თავისის თავისათვის. მართლაც ასე მოხდა: სომხებმა, ბერძნებმა, და სლავიანებმა ერთი მეორეზედ წამოჰყვეს თავი და ოსმალეთს ბატონობას უნდათ თავი დაახწიონ. ეხლაკი მთელმა ევროპამ ყური აეკვიტა და ოსმალეთისაკენ გაუმძღარის თვალით გარდმოიხედა: აქაო და ამდენრეულ წყალში ბადე გადავისროლო და ერთი კარგი მსუქანი თევზი დაციჭიროო. ასე განსჯეთ, ამერიკის შტატებსაც-კი მადა აღეძრა და არც იმას უნდა შემთხვევა დაჰკარგოს, მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ თვით ოსმალთა შორისაც შესდგა საპოლიტიკო დასი, რომელსაც ახალგაზდა ოსმალთა დასი ეწოდება, და რომლის სწავლა-მოძღვრებაც ის არის, რომ ოსმალეთის სახელმწიფოში ყველგან და ყველა სათვის, ეროვნებისა და სარწმუნოებისა განურჩევლად, ერთნაირი ცვლილებანი იქმნას შემოღებულიო. ამ დასის დიდი ნაკლი ის არი, რომ იმის წევრებმა სამშობლო ქვეყანა მიატოვეს, ევროპის დიდ ქალაქებში გარდიხეეწენ და იქა ჰქადაგებენ თავიანთს აზრებს. გამოცთილებამ დაგვარწმუნა, რომ პარიზსა და ლონდონში ქადაგება საკმარისი არ არის, არამედ საჭიროა იმოქმედონ სამშობლო ნიადაგზედ თავიანთ მოძმეთა შორის. „ახალგაზდა ოსმალთა დასი“ რომ სომხებივით მოქცეულიყო და თვით ოსმალეთში დაეარსებინა სამოქმედო კომიტეტები, რაღა თქმა უნდა, ბევრი იმთგანი სასჯელს ვერ ასცდებოდა, მაგრამ სამგიეროდ იმათი მოქმედება, ცხადია, უფრო შესამჩნევს ნაყოფს მოიტანდა.

ყველაზე უფრო ბერძნებმა გამოიჩინეს მხნეობა ოსმალეთში. იმათ საბერძნეთიც გამოესარჩლა და დღეს რა მდგომარეობაშიაც არის ოსმალეთ-საბერძნეთის საქმე, ყველასათვის ცხადია, ხოლო შემდეგში რა მოხდება ამასაც ენახავო. კონსტანტინეპოლში საერთო ამბოხებას მოელიან. ღმერთმა ნუ ჰქნას, მაგრამ თუ ეს ხმები გამართლდა, ცუდი დღე დაადგება აქაურს ქრისტიანებს ეროვნების განურჩევლად. უეჭველია მაჰმადიანნი დაერევიან და ვინ იქმნება მათი მშველელი. უცხო ქვეყნის ელჩებს ეს მოსალოდნელი უბედურება სახეში აქვთ და დიდს მზადებაში არიან.

30 იანვარს აქაურმა ბერძნებმა თავიანთი პატრიარქი ანთიმოზი საპატრიარქო ტახტიდგან ჩამოაკდეს. პირველად პატრიარქს სინოდის წევრმა მიტროპოლიტებმა გამოუცხადეს, რომ სამსახურს თავი დანებებო. პატრიარქი უარზე დადგა. თვით სულთანსაც არ უნდოდა მისი გადაყენება, რადგან სულთანს უამისოდაც ბევრი საქმეები ჰქონდა და ეს ხომ კიდევ აუწყენ-დაუწყენდა საქმეს. საქმეშ იქამდის მიაღწია, რომ მიტროპოლიტებმა ხალხი მიიმხრეს და ოთხ დახმარებით ყველა ეკკლესიებში მღვდლებს გამოუცხადეს, რომ პატრიარქი ანთიმოზი სამსახურიდგან გადაყენებულია და იმის მოხსენება ეკკლესიაში არამც და არამც არ გაბედოთო. გალატის წმ. გიორგის ეკკლესიაში ერთმა მღდელმა მაინც მოიხსენია იგი, რისთვისაც წირვის დროსვე ეცა ხალხი და ეკკლესიიდგან გარეგ გამოაგდო. პატრიარქი მაინც კიდევ უარზე იდგა და სამსახურს თავს არ ანებებდა. იგი სულთანთან წავიდა საჩივლელად, რომელმაც, როგორც ამბობენ, თურმე იმედი მისცა—ფიქრი ნუ გაქვს, ჩემი იმედი იქონიეო, მაგრამ უკან რომ გამობრუნდა, სამატრიარქო დაკეტილი დაუხვდა; შიგნით აღარ შეუშვეს და ამ გვარად იძულებულ იყო სამსახურისათვის თავი დაენებებინა. სინოდის პატრიარქთან განხეთქილების მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ვითომ პატრიარქს უსკუბის ეპისკოპოსის გადაყენებისა ჭ რუშინის ეპარხიოსის დანიშვნისათვის ქრთამი აეღოს, რაც, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ უნდა იყოს.

იასე რაქველი

ᲜᲐᲬᲣᲒᲔᲢᲘ

—

გიცნობ, იუდავ, წყეულო,
ცრემელი რო მოგდის თვალზედა,
ვითომც გიყვარდეს სამშობლო,
იმდაღრეტოდე მასზედა,
გულ-შემატკივრად ჩსაუბრობ
იმის ზავს-ბედ ილბალზედა,
მაგრამ მალვით-კი სამშობლოს
გროშად გაჰყიდი სხვაზედა!..

დ. მარხანელი

ᲓᲐᲛᲐᲒᲕᲘᲠᲓᲘ

ადამიანი ეძებს მარტოობას სოფლად, ზდეის პირას, მთებში. შენც გენატრება ამისთანა მარტოობაზ? კინ დაგაშლის, რომ როგა ენებავს შენს საკუთარს გულს შეახეზნო შენი თავი. დამეკვირე, ეკრსად ამისთანა შეიდამბალს და წყნარს ბინას ვერ ეპოვი, თუკი შენს გულს შერჩენია თუნდა ერთი ნაპერწკალი გრძნობა მართლისა. ეგ მართალი საკმაოა კიგრძნოთ თუნდ ერთს წუთს და მაშინ მშვიდობა და ნეტარება მისაწდომად ადგილია. ბედნიერი, ვისაც თავისკენ გულში ჰქვს თავისი წმიდათა წმიდა!

მარკ-ავრელი.

***

ნაშრომ-ნადაწი დიდი ნუგეშია. ამ ნუგეშში ეპოვი გასაძრჯელის შენის ღვაწლ-შრომისს, თუ შენი საქმე კეთილ-სინდისიერად აღასრულე.

ლემბოკი

***

რაცა დედ-კაცი ჭსდაკს დამაზის ქალის სურათს, ისე ჭგრძნობს თითქო კინმენ აწეენანა რამ.

შეეგენჭეიმი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ამოკრებილი ამბები.

— გაიკვირვებს მკითხველი, როცა შეიტყობს ქვემოხსენებულიდამ, რომ დღეს ჩვენ გვინდა საუბარი ჩამოვაგდოთ სიყვარულსა და ცოლ-ქრმობაზე ფრინველთა შორის. ბეგრსა ჰგონია, რომ ყოველივე კარგი ამ ქვეყნიერებაზე ღმერთს მარტო ადამიანისათვის დაულოცნია, რომ პირუტყვს და მის შორის ფრინველს არც გრძნობა აქვს, ტკივილისა და ამისთანაების გარდა, და არც საზრისი, ნამეტნავად ფრინველი ჰგონია ადამიანს ზნეობრ გრძნობას მოკლებული, უმკური და უგონო.

წინაადმდეგ ამისთანა აზრისა მეცნიერებამ უეჭველის საბუთებით დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის. ბევრი მაგალითები შეუნიშნავთ მეცნიერთ, რომ დედალ-მამალი ფრინველი, ერთხელ შეუღლებულნი, სიკვდილამდე ერთმანეთს არ განშორებიან, ერთმანეთისათვის არ უღალატნიათ, ჭირსა და ლხინში განუყრელად ყოფილან, ერთად უგიათ ბუდე, ერთმანეთისათვის უშველიან

ბღარტის გამოჩეკაში, ბღარტების გამოზაში და ამასთან მამალი ხშირად გუდადგულ დასდგომია მტერს და თავიც გაეწირავს, სიკვდილსაც არ მორიდებია თავისის მეუღლის დასახსნელად და გადასარჩენად. ერთის სიტყვით, შეუღლების პირველ დღიდამ სიკვდილამდე დედალ-მამალი ფრინველი ერთმანეთს შერჩენიან, თუ რაიმე განსაცდელს არ გაუყრია.

„აფრიკაში რომ დავდიოდიო, ამბობს სახელ-განაქმული მეცნიერი ბრემი: შემინიშნავს, რომ ერთი და იგივე წყვილი ფრინველი, დედალ-მამალი, განუყრელად ერთად არიან, წვალენ ზაფხულ-ზამთრობით სადმე, თუ მოვლენო. ყველა საქმეს საერთოდ აკეთებდნენ, ერთად წვალობდნენ და ერთად იტანდნენ ყველა განსაცდელსაო. შეუღლებული დედალ-მამალი არაწვიი, როგორც ერთად გადადიოდნენ ზაფხულობით სხვა ქვეყანაში, ისეც ერთადვე ბრუნდებოდნენ თავიანთ ბინაზეო.“ მგალობელი გედი, რომელსთანავისაც ამ ხეს ბრენის ფრინველის თვალყური უდევნენია ეგვიპტეში მეზხელის ტბაზე, სწორედ ასე იქცევა: შეუღლებული წყვილი ერთად მოსულან საზამთროდ და ერთადვე წასულან საზამთროდ. ესეც შეუნიშნავთ ბევრ ჯიშის ფრინველისთვისაც. ერთხელ ბრემს შემთხვევია შემდეგი მაგალითი ერთს პატარა ტბის პირას ნუბიაში. იქ უნახავს დედალ-მამალი ყარყატი მაშინ, როდესაც მთელი გუნდი ყარყატებისა იქიდან წასულა საზამთროდ. მარტო ის ერთი წყვილი ყარყატი დარჩენილიყო თავისს ბინაზე. ბრემს გაჰკვირვებია ეს ამბავი და რომ შეეტყო რად დარჩენილა მარტო ეს ორი ყარყატი, როცა დრო იყო წასვლისა და მთელი გუნდი უკვეც წავიდა, ბრემმა ორივ იგი ყარყატი მოჰკლა. გამოჩნდა, რომ დედალს ყარყატს ფრთა თურმე მოტეხილი ჰქონოდა და რადგანაც ფრენა ვეღარ შესძლებოდა, მისი მეუღლე მამალი ყარყატიც იმასთან დარჩენილიყო. ამ სახით, მთლად სოლ და ჯანმრთელს მამალს ყარყატს თავი არ დაუნებებია თვისს უბედურ მეუღლისათვის, სიყვარულს და მეგობრობას არ მიეცია ნება მოშორებიყო და დარჩენილიყო მასთან ერთად იმ ადგილას, საცა დაზამორება არაფერს კარგს არ მოასწავებდა როგორც თვითონ მისთვის, ისეც მისს საყვარელ მეუღლისათვის. „სიკეთილის მეტი არა გაყოსის-რა ერთგულს და გულმართალს კაცშირს იმ ფრინველთა, რომელთაც ჩვეულებად აქვთ წყვილად ცხოვრებაო“, ამბობს ბრემი.

საკმაოთო, ამბობს ერთს გაზეთში ავტორი წერილისა, საიდამაც ჩვენ ეს ამბავი მოგვყავს, კაცმა თვალი ადევნოს მარტო გლოკა-ხარს მამლისას, როცა იგი ჰხედავს თავისს მკვდარს მეუღლეს. რარიგად იგი ხმა-მაღლა ყვირილით დასტრალებს საყვარელ მეუღლის გვამს, ნისკარტით ნაზად ეხვება, თითქო უნდოთ გაალვიძოს, ააყენოს და-მასთან ერთად გაჰფრინდეს; მერე ისევ მოჰყვება შესაბარალისად ყივილს, მოუსვენრად დარბის მკვდრის გარშემო, მიდის დაჯდება იმ ადგილას, საცა მკვდარს ცოცხლობაში უყვარდა ჯდომა, ეძახის მკვდარს, სწუხს და ვაგლახობს; არსად მოსვენებას არ ჰპოულობს, მოჰკიდებს ერთს საქმეს ხელს და არ ათავებს, თითქო არ იცის რა ქნაესო. ამ სახით გულ-მოკლული მწუხარებითა მთელ კვირაობით აღამბეს დღეებს და ხშირად აღარ ჰშორდება იმ ადგილს, საცა მეუღლე მოუკვდა და აღარავის ეკარება თავისინასს, აღარც დედალს, აღარც მამალს.

ამისთანა ცხოველი გრძნობა, ამისთანა სიყვარული და მწუხარება თუთიყუშმა და ნიბლია-ჩიტმა და სხვამ ამისთანამ იცის, მაგალითებრ, თუნდ ყველასგან ყმად-აღებულმა ნიკოლმა, ბუმ. ამისთანა უბედურ შემთხვევაში, როცა მამალს ნიკოლტს, ან ბუის მეუღლე უკვდება, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ეკარგება სურვილი და ხალისი სიცოცხლისა, მთლად წაეღებიან ხოლმე მწუხარებას, გლოვას და ეძლევიან საშინელს ბმუნვას, ვიდრე სიკვდილი არა სპობს მათს სიცოცხლეს.

დედალიც არა ნაკლებ სწუხს თავისის მამლის სიკვდილის და არა ნაკლებ გაიწირავს ხოლმე თავს. ხსენებულ ბრემის მამას შეუნიშნავს, რომ დედალი ბეღურა, როცა დაქვრიებულა, სხვა მამალი აღარ მიუშვია, თუმცა კვერცხებზედ მჯდარა და მამალის შვილი ძალიან საჭირო ყოფილა. გამოუჩეკია ბღარტი და მარტო თვითონ უზრენია საშვილი და გამოუზრდია ბღარტები დიდის ზვალებითა.

უფრო საგრძნობელს ამბავს გვაუწყებს ბრემი დედალის ფრინველისას. ბრემის მეგობარის სახლის მიდამოში ყოფილა დედალ-მამალი ყარყატი. ერთ ვიღასაც უგზოო ადამიანს მამალი მოეკლა თოფით და ბეგნერვრეგი დედალ-მამალ ყარყატისა მოუსპია. „შეწუხებულმა დედალმა აღარ ინდომა სხვა მამალი და თავისის შვილებით, როცა დრო მოუვიდა, მარტოდ-მარტო, წავიდა აფრიკაში. გაზაფხულზედ ისევ მოვიდა მარტოდ მარტო და თავისს ბუდეში დაბინავდა. ბევრი მამალი დასტრფოდა, მაგრამ ყველა უარ-უყია და ნისკარტით უცემია, ვინც-კი ახლო მისულია. მარტო შესდგომია თვისის ბუდის მოკეთებას. შემდგომაზედ ისევ წასულა, გაზაფხულზედ ისევ მობრუნებულ და ეგრე მოკეკეული მთელი თერთმეტი წელიწადი: მარტო წასულა და მარტო მოსულა. მეთორმეტე წელიწადს სხვა დედალ-მამალმა ყარყატმა მოინდომა ბუდის წართმევა, ქვრივმა ყარყატმა თავი ძალიან გამოიდო, რომ არ დაენებებინა, მაგრამ ვერა გაუწყრა: ბუდე წაართვეს. გამოგდებული ქვრივი წავიდა ხუთმეტ ვერსტის იქით, სხვა ბუდე გაეკეთა და როცა შემოდგომაზედ გუნდი ყარყატისა საზამთროდ წავიდა და წართმეულ ბუდეში აღარავინ იყო, ქვრივი ყარყატი მოვიდა, სამი დღე დაჰყო თავისს წინანდელ ბუდეში და ამ ერთ გაუდგა გზას საზამთროდ. ამ ყარყატს იმ ახლო-მახლოებში ყველა იცნობდა და „განდეგილს“ ძახოდნენ. (ნ. ვ.)

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

14 თებერვალი

ლონდონი. სუფოლკის რაზმის ბატალიონმა, რომელიც ალდერშოტში იყო დანაკუბული, უცბად მიისწრო ბრძანება სამხრეთ აფრიკაში წასვლისა.

ლონდონი. კერზონმა განაცხადა: რადგანაც ბრიტანიის ადმირალს კრეტის წყლებში მიწერილი ჰქონდა ემოქმედნა სხვა სახელმწიფოთა ადმირალებთან მორიგებისამებრ, ამიტომ აღარ შეიძლებოდა განსაკუთრებული ბრძანებაც გაგვეგზავნა იმის შესახებ, რომ სხვათა დამოუკიდებლად იმოქმედეო. არავითარი ცნობა არ მოსულია მთავრობას, რომ ვითომ ბრიტანიის გემები ოსმალეთის ჯარებს გაჰყოლოდეს [მისდა დასაცველად. მეამბოხეებმა „წინასწარმეტყველ ილიას“ ახლოს დაიპირეს ადგილი, მაგრამ გემებიდან დაწყებულმა სროლამ იძულებულ ჰყო დროშა ჩამოეხსნათ. მთავრობას იმის თქმა არ შეუძლიან—ამ დროს რამდენი კაცი მოკვდა და დაიჭრა, რადგანაც საბერძნეთის მხედრობის უფროსებმა ნება არ დართეს ფლოტის ექიმებს, რომ ალაგმბრივ გამოერკვიათ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი; დაჭრილი არც-კი უნახავთ ვინმე. შემდეგ კერზონმა ლაპარაკი ჩამოაგდო იმ მისსიის შესახებ, რომელიც მენელიკთან იგზავნება, ტ სთქვა: მისსიას მინდობილი აქვს—დაარწმუნოს ნეგუსი, რომ ინგლისი მეგობრობას არის მოწადინებული აბაშეთთანო და ეცადოს აბაშეთთან მეგობრული საპოლიტიკო და სავაჭრო კავშირი დასდვას და განაწეს-რიგოს ზოგიერთი საგანი, რომლის გამო უკმაყოფილებაა აღძრული ბრიტანიის მფარველობის ქვეშე მყოფ სამალიის მთავრობასა და ხარარარში მყოფ ნეგუსის მოადგილეს შორისო.

ლონდონი. ლორდთა პალატა. როდესაც შეეკითხნენ მარკეზ სალისბიურს, მან უპასუხა: მთავრობა მზად არის, რამდენადაც-კი შესაძლებელია მ—განმარტოს ის პოლიტიკა, რომელსაც იგი ადგა თავის მოკავშირეთა შესახებ; ამ აზრით არატორმა წაიკითხა დეპეშა, რომელიც გუშინ საღამოს გაეგზავნა, დიდს სახელმწიფოებს. ამ დეპეშაში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს შემდეგი განაცხადოს იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც იგი დაადგება და რომელიც მისის აზრით -ოკავშირე სახელმწიფოს სურვილსაც უნდა შეეფერებოდესო: პირველი, კრიტში საადმინისტრაციო თვით მართველობა უნდა დაწესდეს იმ უფლების პირობით, რომ დიდთა სახელმწიფოთა ჯარები გამოყვანილ იქმნეს ამ კუნძულიდან; მეორე, კრიტი ოსმალეთის სახელმწიფოს ნაწილ უნდა შეადგენდეს, მესამე, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს საბერძნეთისა და ოსმალეთის მთავრობათ; მეოთხე, თუ ვინაიცობაა საბერძნეთსა და ოსმალეთს მოვთხოვეთ კრიტიდგან ზღვისა და ხმელეთის ჯარების გამოყვანა და იმათ უარი განაცხადეს, დიდმა სახელმწიფოებმა ეს გარდაწყვეტილება ძალ-დატანებით უნდა მოიყვანონ აღსრულებაში. არატორმა ამას დასძინა, რომ სიტყვები „მოვთხოვოთ კრიტიდგან ჯარების გამოყვანა“ ოსმალეთის შესახებ იმასკი არა ნიშნავს, ვითომ ოსმალეთი მოვალე იყოს დაუყოვნებლივ გიიხმოს ჯარი, არამედ ასეთი ღონისძიება აუცილებელი, პირველ-დასაწყისი პირობაა თვითმმართველობის შემოსაღებადო. აქედან სჩანს, რომ ოსმალეთმა კუნძულიდგან ისე უნდა გიიყვანოს ჯარი, როგორც გიიყვანა სამოსისა და სერბიიდგან, სადაც მცირე ნაწილი ჯარი დასტოვა ოვისთა უზენაესთა უფლებათა ნიშნად. კუნძულიდგან ჯარები უნდა იქმნას გაყვანილი მაშინ, როდესაც თვით-მმართველობა უკვე იქნება დაწესებული. რაც შეეხება საბერძნეთის ჯარს, ჩემის აზრით, ეს თვითმმართველობის დაწესებაზედ აღრე იქმნება მოთხოვნილი. თუმცა მგონია, რომ ასე მოქმედებას დიდთა სახელმწიფოთა სურვილიც უნდა ეთანხმებოდეს, მაინც ამ საგნის შესახებ სხვას ვეღარას ვიტყვი, რადგან ყოველივე წვლილი ამ საქმისა არ ვიცი. კუნძულს კრიტზე არ შეიძლება დარჩენილ იქმნას საქმეთა მდგომარეობის აწინდელი გამოურკვევლობა, მაგრამ საპიროა აუჩქარებლად ვიმოქმედოთო. კიმბერლეიმ სთქვა: რადგან ფრიად შესანიშნავი ცნობები იყო აქ გამოაშკარავებული, ამიტომ ჩემს პასუხს შემდეგისთვის გადავდებო. ამის შემდეგ პალატამ დაადგინა—სხდომა გადაიდვასო.

ბერლინი. სრულიად შემცდარს ცნობებზეა დაფუძნებული ინ ვენიდგან გავრცელებული ამბავი, რომ ვითომ გერმანია მიეკედლა გრაფ გოლუხოვსკის მიერ აღძრულს და მურავიევის მიერ გამოთქმულს წინადადებასაო. პირ-იქით ამ მორიგებას საფუძველად აქვს დადებული რუსეთის წინადადება, რომელსაც გერმანია, არ უდალატარა ერთხელ არჩეულს გზას, მაშინვე მიემხრო და რომელიც შემდეგ სხვა დიდთა სახელმწიფოთაც მოიწონესო. დიდთა სახელმწიფოთა თანხმობით მოქმედების შესახებ რუსეთის მიერ სავსებით გამოთქმულ წინადადებათ ჯერ მიემხრო ავსტრო-უნგრეთი, ვითარცა მესამე დიდი სახელმწიფო, და იმას მიჰყვა საფრანგეთი და დაბოლოს ინგლისიო.

15 თებერვალი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა აღიარძალოს თითო ,,ცალობით გაყიდვა გაზეთ-ჟურნალის ,,ვრაჟდანინი“-სა და გაზეთის ,,სვეტი“-სა.

გუშინ სატახტო ქალაქის მკვიდრთ დაურიგდა ე. ვ. ბოგდანოვიჩის ახალი უსასყიდლო საერო გამოცემა, რომელშიაც მოთავსებულია მამა ილიანნე კრონშტადტელის ქადაგება. თავისს წინასიტყვაობაში გამომცემელი ამბობს: „ბედნიერად ვრაცხთავს გავიხარო ჩემ მკითხველები ამითი, რომ ამ ქადაგებას დართული აქვს მეფის სურათი, რომელზედაც რუსის ხალხი დაინახავს თავისის გვირგვინოსან მეფის ახალგაზდა ძალ ღონით სავსე, ჯანმრთელ და მისთვის ძვირფას რუსეთის საკეთილოდ, მისის საყვარელ ერის ესახიარულოდ დაუღალავად შრომის სურვილის გამომეტყველებას“.

ბერლინი. ოფიციალურმა დისკონტმა ვექსილებისამ დაიწია 4 დგან $3^1/_2$ %-მდე.

ბერლინი. 14 თებერვალს პარიზიდგან ჩამოვიდა სპარსეთის საგანგებო საელჩო. ამ დღეებში საელჩოს ინახულებს იმპერატორი, რომელსაც მან შაჰის ტახტზე ასვლის ამბავი უნდა მოახსენოს.

ვენა. საბერძნეთმა იჩივლა ყუმბარების დაშენის გამო და დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ პასუხის-მგებელი როგორც მაგისა, აგრეთვე ყველა ის სამწუხარო შემთხვევისა, რომელიც შეიძლება მერმისში მოხდეს, მხოლოდ და მარტო საბერძნეთი უნდა იყოს იმ მოქმედებისა გამო, რომელსაც იგი აკმადის ადგაო.

ლონდონი. „სტანდარდს“ აუწყებენ ათინიდგან, რომ გუშინ აქ მიღებულ იქმნა დიდთა სახელმწიფოთა ერთობილი ნოტა, რომელიც ღლეს საბერძნეთის მთავრობას გარდაეცემა. კრიტი ამ ჟამად ისეა გემებით გარემოცული და განკერძოებული, რომ კუნძულზედ სანოვაგის ნაკლებულობასა ჭგრძნობენ. საბერძნეთის მთავარ სადგრს, რომელიც კუნძულის ნაპირას იმყოფება, საბერძნეთის მთავრობასთან მიწურ-მოწერა ინგლისის ნაღმიანის გემის შემწეობითა აქვს.

ნიუ-იორკიდგან იუწყებიან, რომ ოლნეიმ უარი შეუთვალა საბერძნეთს—ვერ გაუწყვა სენატის დადგენილება, რომელშიაც გამოთქმულია საბერძნეთის მიმართ თანგრძნობა და მოწონებულია კრიტის საქმეში ჩარევა-

—+—

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ.

—

Ძ. Ყ—ᲜᲜ. ᲘᲑ. 3—ᲐᲑ. თქვენი წერილი ,,ერის განათლებანი“ და იმათი უნუგეშო მდგომარეობა“ ამ დღეებში დაიბეჭდება.

Ზ.—Ჯ—ᲨᲔᲚ. მოგვივიდა თქვენი „მწარე“ ნაწყვეტი. იწერებით, „როდესაც ლეგსის წერის სურვილებს ავყოლიავარ, ცოტად თუ ბევრად მაინც უნდა დავაკმაყოფილო ეს ჩემი (შეიძლება უმნიშვნელო) სურვილები, მაშასადამე, არ უნდა შეაკვეცოთ ასეთ ნორჩ ადამიანის სურვილებს უდროოდ ფრთებიო“. თქვენვე ამბობთ, რომ უმნიშვნელო სურვილებს გაუტაცინხართ, მაშ რაღად ჭნატრობთ იმის დაკმაყოფილებას. სჯობს თქვენვე შეაკვეცოთ თქვენს მეზხას ფრთები, თორემ „უმნიშვნელო სურვილები“, ცუდის, დუბერის ლექსით გამოთქმული, არც თქვენ მოგიტანთ სიკეთეს და ჩვენც ამაოდ შეგვაწუხებთ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

1893 წ. 8 ივნისის, სატრაქტირო დებულების მე-34 §-ის თანახმად გამეგობა სთხოვს მობმანდნენ გამეგობის სადგურში; სასტუმროებისა (гостиница) დ: ბუფეტების პატრონნი ამა წლია 27 თებერვალს, ხუთშაბათს; რეს სტორანებისას და კოფე-რესტორანებისას 1 მარტს, შაბათსლუდხანებისა, სარდაფებისა, სადც საჭმელებსაც ჭეიდიან და სასტუმრო ოთახებისა, სადაც საბარეულოცა აქვთ გამართული—3 მარტს, ორშაბათს, დილის 10 საათზედ, რათა ქალაქის საბარგებლოდ დაწესებული სატრაქტირო გარდასახადი ამა 1897 წლის ერთმანეთ შორის გაიწეროს. ხოლო ტრაქტირებისა, სასმელების დუქნებისა, ეავა-ხანებისა, საჩაიებისა თუ ცხელს საჭმელსაც ჭეიდიან, საკანდიტერებისა, ადგილობრივ საჭმელ ჭერაფებისა, სანოვაგეთა დუქნებისა და ბაკების პატრონთ, ქალაქის გამგეობა იმავე სატრაქტირო დებულების მე-33 §-ის თანახმად, სთხოვს მობრძანდნენ ამა გამგეობის სადგომში: 1) ტრაქტირების პატრონებს ამა წლის 17 თებერვალს, ორშაბათს; 2) სასმელების დუქნების პატრონებს—ამა წლის 18 თებერვალს, სამშაბათს; 3) ეავა-ხანებისა, საჩაიებისა, თუ ცხელს საჭმელებსცა ჭეიდიან, საკანდიტერებისა და ადგილობრივ საჭმელ ჭერაფნების დუქნების პატრონთ—ამა წლის 19 თებერვალს, ოთხშაბათს; 4) სანოვაგეთა დუქნების პატრონებს—ამა წლის 20 თებერვალს, ხუთშაბათს და 5) ბაკების პატრონებს—ამავე წლის 25 თებერვალს, სამშაბათს, დილის 10 საათზედ, სატრაქტირო გარდასახადის გამნაწილებელ წერილთა ამოსარჩევად.

(3—5—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 15 го Февраля 1897 г. სტამბა მ. ძარეიისა და ძმისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲢᲠᲘᲐᲜᲘ.